ინდიკატორი 2.1.1.3.	კურიკულუმში შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში აღწერილია სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში რა ფუნქციების ასრულებს სასკოლო საზოგადოების წევრები. სტატუსის მამიებლის თვითშეფასების კითხვარში სკოლა აღნიშნავს, რომ კურიკულუმის შემუშავება ხდება პედაგოგების მიერ. სკოლის მიერ წარმოდგენილ დაწყებითი კათედრის 2023-2024 სასწავლო წლის სამუსაო ჟურნალში მოცემულია კათედრის სამოქმედო პროგრამა, გაწერილია მუშაობა საათობრივ ბადეზე, მშობლებთან შეხვედრები, სასწავლო წლის ანალიზი.
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმში წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას.	საბუნებისმეტყველო კათედრის მიერ მოწოდებულ კურიკულუმებში ზოგიერთ თემას ახლავს კომპლექსური დავალების იდეა. სასურველია კურიკულუმში დაიგეგმოს ყველა თემის ფარგლებში მინიმუმ ერთი კომპლექსური ან კომპლექსური ტიპის დავალება სასურველია მე-11 კლასის გეოგრაფიის საგნობრივ კურიკულუმში ყველა თემის ფარგლებში განსაზღვრული იყოს შუალედური მიზნის მისაღწევად შემოქმედებითი პროდუქტი, რადგან ეროვნულ სასწავლო გეგმაში სასწავლო პროცესში შუალედური სასწავლო მიზანი განისაზღვრება შემოქმედებით პროდუქტის სახით, რომლის საშუალებითაც მოსწავლე საგნობრივ საკითხთან/საკითხებთან მიმართებით საკუთარ ცოდნას



		წარმოაჩენს, რომელიც თავის მხრივ მიემართება გრძელვადიანი მიზნებისაკენ.
ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს.	სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმში განისაზღვროს ცალკეული თემის დამუშავებისთვის საჭირო საათების რაოდენობა. ასევე სასურველია დაიგეგმოს კვლევითი ტიპის მეტი დავალება, რომელიც მოსწავლეს განუვითარებს დაგეგმვის, ანალიზის და შემოქმედებით უნარებს.
ინდიკატორი 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	სასურველია საბუნებისმეტყველო კათედრის კურიკულუმში გაიწეროს მრავალფეროვანი რესურსი (მათ შორის მანიპულატივები, კვლევითი, ექსპერიმენტალური დავალებისთვის საჭირო რესურსები) რომელიც უზრუნველყოფს შედეგების მიღწევას სასურველია საქართველოს ისტორიის და ისტორიის მე-10 კლასის, მე-11 კლასის საგნობრივი კურიკულუმში სასწავლო რესურსებში გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა მითითებული იყოს შესაბამისი თემის, საკითხის ფარგლებში დამატებითი რესურსებიც. მაგ; ტელესკოპის გაკვეთილები, ვიდეოები და ა.შ., რაც უფრო მრავალფეროვანს გახდის სასწავლო პროცესს, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრულ სწავლის შედეგების მიღწევას. ასევე გეოგრაფიის მე-11 კლასის საგნობრივ კურიკულუმში შეტანილ იქნას რესურსებში როგორც გრიფირებული, ასევე დამატებითი რესურსებიც.
ინდიკატორი 2.1.2.5.	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	სასურველია საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ აქტიურად გამოიყენოს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც თითოეული საგნის სტანდარტის შედეგების ინდიკატორებიდან გამომდინარეობს. აგრეთვე სასურველია, რომ მოახდინოს მოსწავლის მიღწევების დიაგნოსტიკა მისი სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, შექმნას მოსწავლის მიღწევების /სწავლის პროგრესის ამსახველი პროფილი სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.



ინდიკატორი 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი.	საბუნებისმეტყველო კათედრის შეფასების ზოგიერთი რუბრიკაში კრიტერიუმის აღწერილობა არის ზოგადი. ვალიდურობისთვის სასურველია დაკონკრეტდეს თემატურად, სტანდარტთან მიმართებაში, რაში ეძლევა თითოეული ქულა. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს რომ წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს შეფასების კრიტერიუმებს, თუმცა სასურველია არსებობდეს შეფასების ვალიდურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.
ინდიკატორი 2.2.1.4	სკოლაში ფუნქციონირებს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი.	სკოლას 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, კერძოდ: ვერიფიკაციის მიზნები და ამოცანები, ვერიფიკაციის პრინციპები, ვერიფიკაციის პროცესი, ვერიფიკაციის განმახორციელებელი პირები. მოცემული ვერიფიკაციის მექანიზმი არის შაბლონური და სასურველია სკოლამ გაითვალისწინოს სკოლის მოცემულობა და მოარგოს თავის სკოლას.
ინდიკატორი 2.2.2.1.	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში.	სასურველია, კათედრამ წინასწარ განსაზღვროს საშუალო საფეხურის სავალდებულო თემებისა და ტექსტების პარალელურად, პროგრამის მოცულობისა და ძველი ქართული ლიტერატურის თემატიკის გათვალისწინებით, რა დამატებით საკითხავ მასალას შესთავაზებს მოსწავლეებს, როგორ გააზრებინებს, რომ ამ პერიოდის ქართული ლიტერატურა მსოფლიო ლიტერატურის ნაწილია.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.



სკოლამ არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. შესაბამისობის გეგმაში გაწერილია განხორციელების ვადები, რისკები, რესურსები და ჩართული მხარეები. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად, გაიზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ცვლილებები ასახა დასკვნაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია მისია და ხედვა, რომელიც შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიაა ურთიერთზრუნვითა და თანამშრომლობით შექმნას უსაფრთხო, მამოტივირებელი, ინოვაციური და ინკლუზიური სასწავლო გარემო, რომელიც ემსახურება გლობალურად მოაზროვნე, ყოველმხრივ განვითარებული, შემოქმედი, ეროვნული ტრადიციების გათვალისწინებითა და პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული, ინოვაციური მოქალაქეების ჩამოყალიბებას, რომელთაც გაცნობიერებული ექნებათ ადამიანის ძირითადი უფლებების პატივისცემა და ვალდებულებები, მუდმივად ცვალებად გარემოში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადეკვატური ჩართულობის მნიშვნელობა, ამას მოწმობს სკოლის მიერ განხორციელებული მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობები, სამოქალაქო კლუბის ჩართულობით და მემორანდუმები. სკოლის საგანმანათლებლო ამოცანები გულისხმობს ხარისხიან განათლებას სწავლების ყველა საფეხურზე, სწავლების თანამედროვე და აღიარებული მეთოდების გამოყენებით.

ინდიკატორი 1.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს; ამ ეტაპზე სკოლას ჰყავს 132 მოსწავლე, სასწავლო პროგრამა ხორციელდება სამივე საფეხურზე. სკოლის დათვალიერების დროს დავრწმუნდით, რომ სკოლაში შექმნილია უსაფრთხო გარემო. სკოლაში უსაფრთხო სოციო სივრცეს უზრუნველყოფს სკოლაში არსებული ექიმის კაბინეტი შესაბამისი აღჭურვილი ინვენტარით და პერსონალით. სკოლას ემსახურება ექთანი, რომელიც მოსწავლეებს ხშირად ესაუბრება ჯანმრთელობის და ჰიგიენის საკითხებზე. სკოლის ტექნიკური პერსონალი: დარაჯები, დამლაგებლები და სოციალური დასაქმების პროგრამით დასაქმებული თანამშრომლები უზრუნველყოფენ სკოლის შენობის, გარე პერიმეტრის და ჰიგიენის დაცვას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი, სასკოლო კლუბები, რომლის ფარგლებშიდაც ხორციელდება სხვადასხვა სოციალური და სასწავლო პროექტები, ასევე არაფორმალური განათლების მიმართულებით დაგეგმილი ღონისძიებები, მოსწავლეთა პიროვნულ განვითარებას ემსახურება პროექტ გაკვეთილები, სკოლაში აღინიშნება ყველა მნიშვნელოვანი თარიღი, „ტრადიცია მიხეილ ხერგიანის საიუბილეო თარიღი“ რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა კულტურულ განვითარებას. სკოლაში დაცულია როგორც მოსწავლეთა, ისე დასაქმებულთა პერსონალური მონაცემები, რაც რეგულირდება შესაბამისი მექანიზმებით. შექმნილია ყველა პირობა იმისათვის, რომ სკოლაში თითოეული მოსწავლის საჭიროების მიხედვით დაიგეგმოს და წარიმართოს სასწავლო პროცესი, გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესები, მაქსიმალურად იქნას გამოყენებული ყველა რესურსი ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად.

ინდიკატორი 1.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლის მისიის ხედვის და ღირებულებების პროექტის შემუშავების პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები). სკოლის დირექტორის ბრძანებით წარმომადგენლობითი პრინციპით შექმნილმა სამუშაო ჯგუფმა, სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის შექმნის მიზნით, სპეციალურად შექმნილი კითხვარი გაუზიარა მშობლებს, მიიღო უკუკავშირი, გაანალიზა წარმოდგენილი პასუხები და შეიმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველადი ვერსია.

ინდიკატორი 1.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს წარმოადგენს სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. შესაბამიდად, სკოლის არსებული მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ, შეთანხმებულია მათთან და

გათვალისწინებულია მათი შეხედულებები. როგორც აღვნიშნეთ, სკოლა გეგმავს მომავალი სასწავლო წლის დასაწყისისთვის მისი რედაქტირებული ვერსიის სასკოლო საზოგადოებისთვის გაზიარებას.

ინდიკატორი 1.1.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის ფოიეში.

ინდიკატორი 1.1.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლა წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, დაფუძნებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ და მისი სახელწოდება განსაზღვრულია მინისტრის შესაბამისი ბრძანებით: სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლა

ინდიკატორი 1.1.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სამეურვეო საბჭოსთან სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვისა და შეთანხმების შესახებ ოქმი N 1
- სკოლის ვებგვერდი
- მშობელთა კრების ოქმი მისია, ხედვა , ღირებულებების განხილვის შესახებ
- ფოიეს ფოტო
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- გრანტის მოპოვების შესახებ ცნობა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, მითითებულ ვადაში (11.11.2024- 02.12.2024)

ინდიკატორი 1.2.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2.სტრატეგიული გეგმა სკოლას არ წარმოუდგენია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება, რომელიც დაეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (20.09.2024-20.11.2024)

ინდიკატორი 1.2.1.2 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3.სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად ვერ დგინდება ეფუძნება თუ არა იგი სტრატეგიული გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაიზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც დაეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და ყოველწლიურ თვითშეფასებას, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (20.11.2024-20.12.2024)

ინდიკატორი 1.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4.სკოლას არ წარმოუდგენია სტრატეგიული გეგმა, შესაბამისად ვერ დგინდება სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია თუ არა სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც გაიზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა, სადაც განსაზღვრული იქნება სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი

პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში. (20.11.2024-20.12.2024)

ინდიკატორი 1.2.1.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია სკოლას არ წარმოუდგენია, შესაბამისად არ მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავდეს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადაში (11.11.2024- 11.11. 2024)

ინდიკატორი 1.2.2.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ინდიკატორი 1.2.2.2 არ ფასდება

3. ინდიკატორი 1.2.2.3 არ ფასდება

4. ინდიკატორი 1.2.2.4 არ ფასდება

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.
 - ☐ შეესაბამება
 - ☒ მეტწილად შეესაბამება
 - ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
 - ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლამ წარმოადგინა თანამდებობრივი ინსტრუქციები, სადაც გაწერილია საკვალიფიკაციო მოთხოვნები, ფუნქციების აღწერილობა, რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების- სამეურვეო საბჭო, დირექცია, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. მათი ფუნქციები გაწერილია ეროვნული სასწავლო გეგმით და საქართველოს კანონით ზოგადი განათლების შესახებ, ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. რაც შეეხება სკოლაში დასაქმებულ პირებს: პედაგოგები, დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი, საქმისმწარმოებელი, სკოლის ექთანი, სპეც მასწავლებელი, დამლაგებლები, დარაჯები - მათი ფუნქცია მოვალეობები გაწერილია შრომით ხელშეკრულებებში.

ინდიკატორი 3.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სასკოლო საზოგადოებას წარმოადგენს სკოლის ყველა თანამშრომელი, რომელთა მოვალეობანი და უფლებამოსილებანი განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, შრომით ხელშეკრულებებში გაწერილი ვალდებულებებით და შინაგანაწესით. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ნათლად ჩანს თითოეული წევრის ფუნქცია - მოვალეობები. პედაგოგიური პერსონალი შედგება 22 მასწავლებლისგან, სკოლას ჰყავს 1 სსსმ მოსწავლე და 1 სპეცმასწავლებელი. საშტატო ერთეულებს შორის ფუნქციების განაწილება მკაფიოდ გამოჩნდა სკოლაში ვიზიტის დროს. მაგალითად, სკოლამ წარმოადგინა კათედრის წევრების, სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქცია - მოვალეობების შესახებ დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დებულება, სკოლის ვებგვერდის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ ბრძანება, დამრიგებლის დებულება. სკოლის მიერ გაზიარებული დოკუმენტაციით ჩანს რომ პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო ცხოვრებას გახდის მეტად მოსწავლეზე ორიენტირებულს, ხელს უწყობს საგანანათლებლო საქმიანობის სწორად განხორციელებას

ინდიკატორი 3.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების დამტკიცების შესახებ
- სქემა სკოლის სტრუქტურული ერთეულები
- სკოლის სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები.
- სკოლის სტრუქტურა
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სკოლის სამოქმედო გეგმა
- ბუღალტრის შრომითი ხელშეკრულება
- დარაჯის და დამლაგებლის ხელშეკრულებები
- ექთნის ხელშეკრულება
- მასწავლებლის ხელშეკრულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. მასში განსაზღვრულია თუ როგორ მოხდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნები, რეგულაციები, რომლებიც გათვალისწინებული უნდა იქნას ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფის დაგეგმვის პროცესში, თანამშრომელთა პროფესიული განვითარება, ახალი თანამშრომლის ადაპტაცია, პერსონალის მართვა და მათი მუშაობის ხარისხის მონიტორინგი, შეფასება და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა. სკოლის შინაგანაწესით სკოლას დადგენილი აქვს პერსონალის შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, წინასახელშეკრულებო ურთიერთობი, დასაქმებულის დანიშვნის, სამუშაო დროის აღრიცხვის, სამსახურში დაგვიანებით გამოცხადება და გამოუცხადებლობის შეტყობინების, ანაზღაურებისა და შვებულების გაცემის, შრომის პირობების დაცვის წესები, წახალისებისა და პასუხისმგებლობების სახეები და სხვა. მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისია სკოლის შიდანორმატიული აქტები: სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის

ინდიკატორი 3.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის განმსაზღვრელ დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის მხარდაჭერა და მისი ეფექტიანი მართვა მოიცავს საჭიროებებზე დაფუძნებული ინტერვენციების დაგეგმვას და რეალიზებას, გაზიარებულ პასუხისმგებლობას და ანგარიშვალდებულებას, სკოლის ბაზაზე პრევენციული სისტემის არსებობასა და მხარდაჭერას. თვითრეგულაციის და თვითმართვის უნარების განვითარებას. სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით გათვალისწინებულია ახალი თანამშრომლის მიღებისა და სოციალიზაციის მექანიზმები, კერძოდ, ახალ თანამშრომელთან პერიოდული პროფესიული დიალოგი არსებული სირთულეების პრევენციის/მართვის მიზნით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, დაწესებულება სისტემატურად აწარმოებს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას, რაც უზრუნველყოფს ძლიერი და გასაუმჯობესებელი მიმართულებების იდენტიფიცირებას. შეფასების შედეგების ანალიზის საფუძველზე დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს პერსონალის მიზნობრივი განვითარების პროცესს. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალის შეფასების წესი. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების და

მათზე სახდელის დაკისრების წესები და პირობები. სკოლას მიეცეს რჩევა შინაგანაწესში ან სხვა მარეგულირებელ დოკუმენტში კონკრეტულად გაიწეროს სკოლაში დასაქმებულების ჩანაცვლების მექანიზმები.

ინდიკატორი 3.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლაში ვაკანტურ თანამდებობებზე კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე pedagogi.ge. პორტალზე თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. პედაგოგთა შერჩევა ხდება შიდა და ღია კონკურსის საფუძველზე, კონკურსის ორგანიზებისას იქმნება საკონკურსო კომისია, განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და შეფასების კრიტერიუმები. კონკურსი ცხადდება ვებგვერდზე, სადაც აპლიკანტები წარმოდგენენ განაცხადს. პირველ ეტაპზე ხდება საბუთების გადარჩევა, ელექტრონულ ფოსტაზე აპლიკანტებს ეგზავნებათ პასუხი, ინიშნება გასაუბრება და თარიღიც ეცნობებათ ფოსტის მეშვეობით. მეორე ეტაპზე აპლიკანტებს ვიწვევთ გასაუბრებაზე კომისიასთან, რომლის შემადგენლობაში შედის, როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მასწავლებელთა პროფესიული კავშირის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის, საგანმანათლებლო რესურსცენტრისა და მოწვეული სპეციალისტები სადაც ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით მიიღება გადაწყვეტილება. გადაწყვეტილება აპლიკანტებს მიეწოდებათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით. წარმოდგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი და პერსონალის შერჩევა/დანიშვნის პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია.

ინდიკატორი 3.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. შრომითი ხელშეკრულები შესაბამისია მოთხოვნებთან. სკოლას ჰყავს: 22 მასწავლებელი. ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოდგენილი პირადი საქმეების მიხედვით პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. სკოლაში დასაქმებული პერსონალი არის დაკავებული პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე, რასაც ადასტურებს კვალიფიკაციის ამსახველი შესაბამისი დოკუმენტაცია eSchool-ის ბაზაში. სკოლას ჰყავს 2 წამყვანი, 20 უფროსი, მასწავლებელი და სპეც მასწავლებელი, მათთან გაფორმებულია სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომლებშიც დაწვრილებითაა გაწერილი სტატუსის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები. სკოლას ჰყავს ექთანი, რომელის კვალიფიკაცია მოქმედი კანონმდებლობის

შესაბამისია. მასწავლებლების პირად საქმეებში არ არის წარმოდგენილი სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ და უფლების შესახებ ჩამორთვევის ცნობები, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და მასწავლებელთა პირად საქმეში „სქესობრივი თავისუფლების და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს მთავრობის N463 დადგენილი „უფლების ჩამორთმევის შესახებ“ ცნობები წარმოდგინოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (11.11.2024 – 15.01.2025)

ინდიკატორი 3.1.2.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ერთობლივად დაგეგმილი და განხორციელებული სასკოლო პროექტებით თვალნათელია, რომ სკოლაში თანამშრომლობითი გარემოა. სკოლის ორგანიზაციული კულტურა გუნდური მუშაობის პრინციპზეა დაფუძნებული. სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი. „რომელშიც აღწერილია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის მიზნები, სტარტეგიები და ამოცანები. სკოლის როლი მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში. სასკოლო საზოგადოება მუშაობს გუნდური და მონაწილეობითი პრინციპით. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქვს უფლება, გამოხატოს პოზიცია, რომელიც გაზიარებულია კოლექტივის მიერ. ნებისმიერი გადაწყვეტილება მიიღება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში ფუნქციები დელეგირებულია, სასკოლო საზოგადოებას შეუძლია, ერთმანეთს მოუსმინონ, გამოთქვან აზრი, დაეთანხმონ ან არ დაეთანხმონ. გუნდური მუშაობა სკოლისთვის ერთ-ერთი დამახასიათებელი თვისებაა, სწორედ გუნდურობითაა განპირობებული სკოლაში ჩატარებული არაერთი სოციალური თუ აქტუალური სასწავლო პროექტები და საინტერესო არაფორმალური აქტივობები. სკოლა აღიარებს გუნდური თანამშრომლობის პრინციპებს. სხვადასხვა საკითხების განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა გაერთიანებულ კრებებზე. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ინდიკატორი 3.1.2.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლა აღიარებს და მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოების წევრთა წარმატებას. სკოლის სოციალურ გვერდზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე მუდმივად ზიარდება თანამშრომელთა წარმატებები. კათედრის შეხვედრებზე პედაგოგები აზიარებენ სიახლეებს, მიდგომებს, მეთოდებს, რომლებიც შეიძინეს სხვადასხვა საგნობრივი ტრენინგისა თუ პრაქტიკის დროს. მაგ.: სკოლაში

გაზიარებულია როგორც შიდა სასკოლო, ისე სხვა სკოლების წარმატებული გამოცდილება. სკოლა ჩართული იყო პროექტ „ჯიპრაიდი“-ში, რამაც დიდი გამოცდილება შესძინა პრედაგოგებს სწავლა/სწავლების პროცესში თანამედროვე მეთოდებისა და მეთოდების დანერგვა/განხორციელებაში. პროექტის დასრულების შემდეგ სკოლამ სასკოლო ქსელის ფარგლებში უმასპინძლა ახლომდებარე სკოლებს წარმატებული გამოცდილების გასაზიარებლად. USAID - პროგრამის ფარგლებში ლიდერ მასწავლებლებს ინტენსიურად უტარდებოდათ ტრენინგები, სადაც მიღებულ გამოცდილებას აქტიურად უზიარებდნენ კოლეგებს. ამასთანავე, სიახლეების გაზიარება ხორციელდება თითოეულ კათედრაზე. სკოლა მოსწავლეებისა თუ თანამშრომლების წარმატებებს ყოველთვის აზიარებს საკუთარ ფეისბუქ გვერდზე. სკოლა არასდროს ყურადღების მიღმა არ ტოვებს სხვადასხვა სფეროში წარმატებულ მოსწავლეებს და ყოველთვის უზიარებს და ასაჯაროებს მათ წარმატებებს, იქნება ეს სპორტში, ხატვაში, სწავლაში წარმატებისთვის და სხვა.

ინდიკატორი 3.1.2.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი
- eschool-ის ბაზა
- teachersjobs.ge-ს გვერდის სკრინი
- წამყვანი მასწავლებლის ხელშეკრულება
- უფროსი მასწავლებლის ხელშეკრულება დანართი
- მოწვეული მასწავლებლის ხელშეკრულება დანართი
- სპეც. მასწავლებლის ხელშეკრულება დანართი
- მასწავლებლის დანიშვნის ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.



- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი ჰქონდა პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების საფუძველზე შესამუშავებელი გეგმა, თუმცა სკოლის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციაში არ გვხვდება ადამიანური რესურსებისა და პროცესების უსაფრთხოების მართვის მექანიზმები, მიუხედავად არსებული დოკუმენტაციის არსებობისა მასში არ არის გაწერილი პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა, არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლების ხელშეწყობა, სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვა, მასწავლებელთა პროფესიული უნარ-ჩვევებისა და ცოდნის შეფასება, მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა და სხვა. სკოლაში არ არის შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და შეიმუშაოს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (11.11.2024 – 30.04.2025)

ინდიკატორი 3.2.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ინდიკატორი 3.2.1.2 არ ფასდება

- სკოლის მასწავლებლები ჩართულები არიან საგანმანათლებლო პროგრამებში, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიულ ზრდას. სკოლაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას. ამ მხრის ძალიან საიმტერესო გამოცდილება დააგროვეს USAID-ის საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული ტრენინგებით. სკოლის ბუღალტერმა გამოთქვა მზაობა გადამზადებაზე, თუმცა ტერიტორიული სიშორის გამო ვერ შეძლო ტრენინგის გავლა. სკოლა მასწავლებლებს გამუდმებით უზიარებს ბიბლიოთეკაში არსებულ მეთოდურ სახელმძღვანელოებსა და ელექტრონულ ბმულებს, თუნდაც მასწავლებლის სახლის მიერ ჩასატარებული ვებინარების შესახებ. პერსონალის კარიერული ზრდა პროპორციულად აისახება მოსწავლეების წარმატებაზე. სკოლის მოსწავლეები აქტიურად ერთვებიან რაიონულ თუ რეგიონალურ პროექტებში.

ინდიკატორი 3.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

- სკოლის დირექცია ახალ თანამშრომელს აცნობს სასკოლო ფიზიკურ გარემოს, აცნობს თანამშრომლებს, აცნობს სკოლის შინაგანაწესს, სასკოლო სასწავლო გეგმასა და ყველა იმ დებულებას, რის მიხედვითაც სკოლაში მიმდინარეობს საგანმანათლებლო პროცესი. სასკოლო საზოგადოება ახალ თანამშრომელს მაქსიმალურად კეთილგანწყობილი ხვდება, რაც უადვილებს გარემოსთან ადაპტაციასა და ინტეგრაციას. სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლაში ახალი მოსული კადრისთვის მაქსიმალურად კეთილგანწყობილი გარემოა და სასკოლო საზოგადოების მიმღებლობა საკმაოდ მაღალია.

ინდიკატორი 3.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



5. სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N2 საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებისათვის დირექციისგან ყოველთვის მხარდაჭერილია ნებისმიერი ინიციატივა თუ ინოვაციური იდეა. სწორედ ამის გამოა, რომ სკოლაში მრავალფეროვანი სასკოლო პროექტები ხორციელდება, რომლის ინიციატორები ხშირად სწორედ მასწავლებლები არიან. ასეთი აქტივობები არა მარტო მოსწავლეებისთვის, არამედ პედაგოგებისთვისაც განვითარების საშუალებაა. მაგალითისთვის შეგვიძლია დავასახელოთ სამოქალაქო მასწავლებლის ინიციატივით შექმნილი კლუბი „კლდის ვეფხვი“. სკოლის დირექციის მხარდაჭერით სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამაში, ამ პროგრამის ფარგლებში მასწავლებლის ინიციატივით განხორციელებულ მცირე გრანტების პროექტში თემაზე მშობელთა ჩართულობა, პროექტის სახელწოდებაა „ძველი სვანური კერძები“, პროექტმა გაიმარჯვა და მიიღო გრანტი. სკოლას განხორციელებული აქვს მრავალფეროვანი პროექტები, კონკურსები, ვიქტორინები, სადაც მკაფიოდ ჩანს მოსწავლეთა და მასწავლებელთა აქტიური ჩართულობა. ასევე სკოლას აქვს თანამშრომლობის მემორანდუმი ცაგერის საჯარო სკოლასთან. სკოლებს შორის დაგეგმილმა აქტივობებმა და ღონისძიებებმა ხელი შეუწყო არამარტო მოსწავლეებს შორის მეგობრობას, არამედ სკოლებს შორის თანამშრომლობას. დაგეგმილია სკოლებს შორის ვიზიტი, ამ ვიზიტის ფარგლებში განხორციელეს არაერთი სოციალური პროექტები და აქტივობები, სკოლები უკვე გაეცნენ ერთმანეთის კულტურულ მემკვიდრეობას, დაიგეგმა ექსკურსიები. სკოლა, თავისი მატერიალური და მორალური მხარდაჭერის ფარგლებში, მუდმივად ცდილობს წახალისოს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ეს იქნება პედსაბჭოზე გამოთქმული სიტყვიერი მადლობა თუ სიგელი. სკოლა ორიენტირებულია პერსონალის მოტივაციის ამაღლებაზე და გამოხატავს მუდმივ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 3.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სამოქმედო გეგმა
- მკითხველთა კლუბის დამადასტურებელი დოკუმენტი
- კლუბ „კლდის ვეფხვის“ მიერ განხორციელებული აქტივობები



- საკუთარ მუშაობის მხარდაჭერის დამადასტურებელი დოკუმენტი
- მშობელთა ჩართულობით აქტივობების დამადასტურებელი ლინკები
- სკოლებს შორის თანამშრომლობა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას. სკოლა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესშია, რომელიც გულისხმობს პროცესზე ორიენტირებას და სწავლის შედეგების გაუმჯობესებაზე. სკოლის საქმიანობა გამომდინარეობს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებიდან რაც გულისხმობს მოსწავლის ეროვნული ღირებულებების მატარებელი პიროვნებად ჩამოყალიბებას. საგანმანათლებლო პროცესი ემსახურება არამატო მოსწავლისთვის ცოდნის გადაცემას, არამედ მის ჰოლისტურ განვითარებასაც. სკოლა ასევე ზრუნავს მოსწავლე იყოს გარემოს დამცველი, ჰქონდეს საკომუნიკაციო უნარები, ფლობდეს თანამედროვე ტექნოლოგიებს იყოს ქვეყნის ინტერესების დამცველი. იყოს შემოქმედი, კანონმორჩილი. სკოლის მიერ მხარდაჭერილია არაფორმალური განათლების აქტივობები: კერძოდ, მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულები საკლუბო საქმიანობებში. სკოლაში შექმნილია მკითხველთა, სამოქალაქო განათლებისა და ეკოკლუბები. აღნიშნული კლუბები აწყობენ სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებს, ყველა ჩატარებული ღონისძიება და კლუბების მუშაობა გაზიარებულია სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე.

ინდიკატორი 3.3.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი: სასკოლო სასწავლო გეგმა, სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის დოკუმენტები, სკოლის შინაგანაწესი, სამოქმედო გეგმა, მმართველობითი საგანმანათლებლო პროცესი წარმართება სასკოლო კურიკულუმის და მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებებით, რასაც ხელს უწყობს დამხმარე პროცესი - ადმინისტრაცია, მრჩეველთა საბჭო, მშობელთა კომიტეტი და მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრები. საგანმანათლებლო ციკლის უწყვეტობას განსაზღვრავს მმართველობითი ორგანოები: პედაგოგიური საბჭო, დირექცია, სამეურვეო საბჭო, თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო. სკოლის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებაში აქტიურად არის ჩართული კათედრები. სკოლა ჩართულია სხვადასხვა პროექტებში, შექმნილია სხვადასხვა კლუბები. ზემოაღნიშნული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები ემსახურება საგანმანათლებლო საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 3.3.1.2 . შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. აღნიშნულის განხორციელების დროს სკოლა, უპირველეს ყოვლისა,

ეფუძნება სკოლის შინაგანაწესს, სადაც დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები, ვადები. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს სკოლის დისციპლინური კომიტეტი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას მშობლები, კანონიერი წარმომადგენლები ინფორმაციას იღებენ მშობელთა კრებებზე. სკოლის დირექტორის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტებში მითითებულია გასაჩივრების უფლება, ვადები და ინსტანცია. სადაც შეიძლება გასაჩივრდეს გადაწყვეტილება. აღნიშნული ინფორმაცია გამოქვეყნებულია ასევე სკოლის ვებგვერდზე.

ინდიკატორი 3.3.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4.სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის პოლიტიკა, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმი. სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრი 112-ის ცხელი ხაზის ნომერი. სკოლას მიეცა რჩევა: სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული უნდა ჰქონდეს სკოლის ჩარჩო რეგულაციის დოკუმენტი მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი, რომელიც გაწერილი იქნება შინაგანაწესში

ინდიკატორი 3.3.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი

- მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და თანამშრომლების პირადი ინფორმაციის გასაჯაროების თანხმობის ფორმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- თანამდებობრივი ინსტრუქციები;
- კათედრის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამოქმედო გეგმა;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სოციალური ქსელში მუდმივად ხდება სიახლეების განთავსება. თითოეულ კლასს შექმნილი აქვს შიდა ჯგუფი, სადაც გაერთიანებული არიან აღნიშნული კლასის მოსწავლეები და მათი მშობლები, მასწავლებლები და დირექციის წევრები, რის საშუალებითაც კლასთან და სკოლასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდება ხდება. ელექტრონული ჟურნალის საშუალებით მშობლები იღებენ საკუთარი შვილის აკადემიური შედეგების, საგაკვეთილო პროცესზე დასწრებისა და ქცევის შესახებ ინფორმაციას. მშობელთა კრებებზე ხდება რეკომენდაციების, შემოთავაზებების მიღება ვითარების გაუმჯობესების მიზნით. სკოლის ადმინისტრაცია იღებს უკუკავშირს, ანალიზებს და რეაგირების მიზნით შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას. სკოლას აქვს საინფორმაციო დაფა, დახურული ჯგუფი facebook-ზე. Teams-ის პლატფორმის ჯგუფი. მშობელთა ინფორმირება და ჩართულობა დირექციისა და დამრიგებლების მეშვეობით ხორციელდება მშობელთა კრებებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით შექმნილი კლასის ჩათებით. სკოლას კომუნიკაცია აქვს საგანმანათლებლო რესურსცენტრთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან და სხვა. სკოლაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით გათვალისწინებული სტრუქტურული ერთეულები- სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური



საბჭო, კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები მონაწილეობენ მართვის პროცესებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, ასევე სკოლა მუდღივ კომუნიკაციაზეა მათთან და შეთანხმებისამებრ მოქმედებს მათი უკუკავშირის მიხედვით, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმებით. ასევე სკოლამ წარმოადგინა მშობლებთან ურთიერთობის სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობების მექანიზმებს.

ინდიკატორი 3.3.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში მოქმედ კოლეგიურ ორგანოებში, სამეურვეო, პედაგოგიურ და მრჩეველთა საბჭოებში, ასევე დისციპლინურ კომიტეტში, გაერთიანებული არიან სასკოლო საზოგადოების წევრები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობენ მათ საქმიანობაში. სკოლის სამეურვეო საბჭოს შემადგენლობაში არიან მშობლები, მასწავლებლები და საშუალო საფეხურის თვითმმართველობის თავმჯდომარე. დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მშობელი, მასწავლებელი, მოსწავლე(საშუალო საფეხური). ისგ ჯგუფებში, ჩართულები არიან მშობლები. პედაგოგიურ საბჭოში ყველა მასწავლებელია გაერთიანებული, მრჩეველთა საბჭოში- დირექტორის მოადგილე, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარე, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლისათვის მეტად მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობა და აღნიშნული მიმართულებით დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, მათივე ინიციატივებიდან გამომდინარე. სასწავლო პროექტებში აქტიურადა არიან ჩართული მშობლები.

ინდიკატორი 3.3.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართულობის განხორციელებული აქტივობები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;

3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში შექმნილია მოსწავლეების, თანამშრომლებისა და სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირების სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემო. სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლას ჰყავს 1 დარაჯი, რომელიც აკონტროლებს სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა შემოსვლას, პასუხისმგებელია (გაფორმებული ხელშეკრულებით) მატერიალური ქონებისა და საზოგადოებრივი წესრიგის უსაფრთხოებაზე ორივე სართულზე, განთავსებულია ცეცხლმაქრები (სულ 4). ევაკუაციის გეგმა, გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას ორივე სართულზე. პირველ სართულზე განთავსებულია სახანძრო სტენდი. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია 112, სკოლას შემუშავებული აქვს მასწავლებელთა მორიგეობის სია. შემოღებულია პედაგოგთა მორიგეობა 1-2 სართულზე და ეზოში. მორიგე პედაგოგები, დამრიგებლებთან ერთად, მეთვალყურეობას უწევენ მოსწავლეებს შესვენების დროს, უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მიერ ქცევის წესების დაცვას. სკოლის არ აქვს სათვალთალო კამერები. სკოლას შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქვს 3.4.1.1 ინდიკატორის (ა) სკოლას არ აქვს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ბ) სკოლას არ აქვს მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ.) შესაბამისი ვადები და პასუხისმგებელი პირები.

ვიზუალური დათვალიერებით სკოლა კეთილმოწყობილია. საკლასო ოთახები დიდი და ნათელია, აქვს ერთი კომპიუტერული ტექნოლოგიების კაბინეტი, სადაც გათავსებულია პერსონალური კომპიუტერები და ლეპტოპები-განათლების მართვის საინფორმაციო ცენტრის ქსელში ჩართულია და მუშაობს. ასევე აქვს სპორტული დარბაზი,

ბიბლიოთეკა, რესურსოთახი. სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია სველი წერტილები, თუმცა არ არის არცერთი ადაპტირებული სველი წერტილი, სკოლას აქვს დიდი ეზო და გარე სტადიონი, რომელიც აუციებლად მოითხოვს რეაბილიტირებას.

სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოებაზე გამოყოფილი პირის გადამზადება.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, მოიპოვოს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. მიმართოს უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ შესაბამისობის გეგმით მითითებულ ვადებში. (05.07.2024-05.07.2025)

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

- სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას. პირველადი დახმარების აღმოჩენას ახორციელებს სკოლის ექთანი. სკოლას აქვს შესაბამისად აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და პირველადი დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები. სკოლას საშტატო განრიგის შესაბამისად დასაქმებული ჰყავს ექთანი, რომლებიც საქმიანობას ახორციელებენ „საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის“ შესაბამისად. სკოლას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია „სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი“

ინდიკატორი 3.4.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

- სკოლა შინაგანაწესით არეგულირებს დისციპლინასთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის ეზოში საზოგადოების წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და მორიგე მასწავლებელი. სკოლის დირექტორის 2019 წლის 17 აპრილის N 1კ-06 ბრძანებით განსაზღვრულია პირი, სკოლაში უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე. მასვე ეკისრება პასუხისმგებლობა უკონტაქტო ზედაპირულ დათვალიერებაზე. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის სამოქმედო გეგმა. სკოლის საკლასო ოთახებში განთავსებული იყო მოსწავლეთა მიერ შემუშავებული ქცევის წესები.

ინდიკატორი 3.4.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



4. უსაფრთხო სასწავლო გარემოს შესაქმნელად ფსიქოლოგიური და ემოციური უსაფრთხოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. კლასის დამრიგებლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა ურთიერთდამოკიდებულებას, არადისკრიმინაციული გარემოს შექმნას, მათ ფსიქოლოგიურ და ემოციურ მდგომარეობას, მოსწავლეების მხრიდან გაკვეთილების გაცდენის მიზეზების მოკვლევას, მშობელთა დამოკიდებულებას და პასუხისმგებლობას შვილების მიმართ. იმართება ბულინგის და კიბერბულინგის საწინააღმდეგო პრევენციული ღონისძიებები, როგორც სადამრიგებლო საათზე, „მე და საზოგადოების“ და სამოქალაქო განათლების გაკვეთილებზე სხვადასხვა აქტივობების საშუალებით. დამრიგებლების მხრიდან განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა შორის ურთიერთობებს. სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება სადამრიგებლო საათის ფარგლებში მოსწავლეთათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება. სკოლას ჰყავს მრჩეველთა საბჭო, რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. რეგულარულად იმართება ბულინგის მიმართ პრევენციული ღონისძიებები, რომელთა ორგანიზებას უზრუნველყოფს სამოქალაქო კლუბი და მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის სამოქალაქო განათლების მასწავლებლის მიერ წარმოდგენილია სხვადასხვა პროექტი, რომელთაგან რამდენიმე მათგანი ეხება ბულინგსა და ძალადობას. სკოლამ გადაიღო რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი აღნიშნულ საკითხთან მიმართებით.

ინდიკატორი 3.4.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას უდიდესი ყურადღება ეთმობა, სკოლას მიეწოდება მუდმივად სასმელი წყლი, სკოლის 3 დამლაგებელი და 2 დასაქმებული (სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში) ახორციელებს სკოლის საკლასო ოთახების, დერეფნების, კიბის უჯრედების, პირველი სართულის საპირფარეშოების, სპორტული დარბაზის, კაბინეტების სველი წესით დასუფთავებას. შემუშავების პროცესშია სკოლის დასუფთავების განრიგი. სკოლა გეგმავს სანიტარული ჰიგიენური მომსახურების პერსონალის გადამზადებას.

ინდიკატორი 3.4.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლა ზრუნავს სასკოლო საზოგადოების წევრების პერსონალური მონაცემების დაცვაზე. სკოლა შედგება სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულისაგან; პედაგოგები, სკოლის პერსონალი, შტატგარეშე პერსონალი, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების ამსახველი დოკუმენტები და მშობლების შესახებ ინფორმაციები. სკოლაში მათ შესახებ გროვდება და ინახება პერსონალური მონაცემები რომელთა დაცვის ვალდებულება აქვს სკოლის



ხელმძღვანელობას. სკოლა პერსონალური მონაცემების და ინფორმაციულ უსაფრთხოებას უზრუნველყოფს დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით დამტკიცებული „სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების“ შესაბამისად. სკოლაში ინახება ყველა ის დოკუმენტი, რომელიც შეიცავს პერსონალურ მონაცემს. აღნიშნული დოკუმენტები დაცულია და შემუშავების პრცესშია ხელმისაწვდომობა ნებისმიერი პერსონალისათვის. ყველა კლასის დამრიგებელს შეუძლია მხოლოდ თავისი კლასის პირადი საქმის გადახედვა საჭიროებისამებრ. ასევე დაცულია მონაცემთა ბაზები რაც შეეხება ინტერნეტ სივრცეში განთავსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებლობა შრომითი ხელშეკრულებით ეკისრება სკოლის საქმისმწარმოებელს.

ინდიკატორი 3.4.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

7. სკოლაში მონაცემების შეგროვება,დამუშავება და დაცვა ხდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა სრული შესაბამისობით. სკოლა მონაცემებს ამუშავებს და აგროვებს მხოლოდ კანონიერი საფუძვლით, მონაცემები დაცულია იმგვარად, რომ არ მოხდეს არსებული მონაცემების შემთხვევითი ან უკანონო განადგურება, დაკარგვა ან სხვა ფორმით უკანონო გამოყენება. საარქივო მასალები ინახება დაცულ სივრცეში. მათ მოვლასა და შენახვაზე ძირითადად პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი

ინდიკატორი 3.4.1.7 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

8. ინდიკატორი 3.4.1.8 არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- განახლებული საევაკუაციო გეგმისა და სტენდის ფოტო მასალა
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი
- ინფორმაციის გასაჯაროებაზე მასწავლებელთა თანხმობა
- ინფორმაციის გასაჯაროებაზე მშობელთა თანხმობა



- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის ბრძანება
- მოსწავლეთა პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირების შესახებ ბრძანება
- დარაჯის ხელშეკრულება
- ექთნის ხელშეკრულება
- დამლაგებლის ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი
- არქივის ფოტო
- კლასის საათის ოქმი ბუღინგის თემაზე

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას



1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო რეესტრის ამონაწერით (01/03/2023) სსიპ „სსიპ მიხეილ ხერგიანის სახელობის დაბა მესტიის N 2 საჯარო სკოლა“ (ს/კ 42.06.42.356) ფუნქციონირებს მესტიის მუნიციპალიტეტში განთავსებულ შენობა-ნაგებობაში. დაზუსტებული ფართობია 5638.00 კვ.მ., შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა არსებობის ვადით. სასწავლო პროცესი ხორციელდება 1 ძირითად სასწავლო კორპუსში. სასწავლო კორპუსში არის 12 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 რესურსოთახი, 1 ექიმის კაბინეტი, სპორტდარბაზი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, დირექტორის კაბინეტი, ბულალტრისა და საქმისმწარმოებლის კაბინეტი და სააქტო დარბაზი. პირველ სართულზე განთავსებულია საპირფარეშოები, თითოეულში რამდენიმე სველი წერტილი, თუმცა არ აქვს ადაპტირებული სველი წერტილი. რესურსოთახი, ექიმის კაბინეტი სპორტ დარბაზი, სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის მერხები და სკამები საფეხურების შესაბამისად, დაფები და სხვა ინვენტარი, აქვს დახურული სპორტული დარბაზი და სააქტო დარბაზი, ფუნქციონირებს ღია სპორტული მოედანი.

სკოლას აქვს გარე სპორტული მოედანი, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი და ელექტრო განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს ერთი ან მეტი ფანჯარა. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის კომპიუტერები, პროექტორები, თვალსაჩინოებები, პლაკატები, რუკები, წიგნები. სკოლას აქვს განახლებული ბიბლიოთეკა, შესაბამისი ავეჯით. სკოლას არ აქვს შიდა პანდუსი/ სკოლაში არსებობული კომპიუტერული ტექნიკა თანაბრად ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მასწავლებლებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან



2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეების, მასწავლებლების და სხვა დასაქმებულების მიერ სკოლის სხვადასხვა რესურსებით სარგებლობის პირობებს, მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს. აღნიშნული წესში აღწერილია საბუნებიმეტყველო ლაბორატორიის (ფიზიკა, ქიმია, და ბიოლოგია), კომპიუტერული კლასის, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურსოთახის და სკოლის ბიბლიოთეკის გამოყენების წესები. ასევე, მატერიალური რესურსის და სასკოლო ინვენტარის დაზიანების დროს ზარალის ანაზღაურების პირობები. სკოლას შემუშავებული აქვს საერთო სარგებლობის სივრცეებით სარგებლობის გრაფიკი და სამუშაო დღის რეჟიმი, რომლებიც გამოკრულია შესაბამის ადგილებში. სკოლას მიეცა რჩევა საბუნებისმეტყველო ლაბორატორიაში ონკანის დამონტაჟებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 3.5.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლას გააჩნია მხატვრული წიგნადი ფონდი და გრიფირებული სახელმძღვანელოების ფონდი. გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სკოლა ყოველწლიურად ატარებს მოკვლევას, სკოლაში შემომსვლელი მოსწავლეების შესახებ. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, რომელიც განსაზღვრავს: ბიბლიოთეკის მიზნებს, ამოცანებს, პრინციპებს და ფუნქციებს, ბიბლიოთეკაში რეგისტრაციისა და წიგნების გატანა/დაბრუნების წესებს, ბიბლიოთეკით სარგებლობის წესს, მკითხველის უფლება-მოვალეობებს, ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესს. ბიბლიოთეკაში გამოკრულია სარგებლობის წესი და მუშაობის განრიგი. წიგნები აღრიცხულია საინვენტარო წიგნში. შემთხვევითობის პრინციპით წიგნების შემოწმების შედეგად დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის დებულებით განსაზღვრულია „ბიბლიოთეკაში დაცული მასალების აღრიცხვისა და დაცვის წესის“ შესაბამისად. სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის სასკოლო სახელმძღვანელოების უსასყიდლოდ, დროებით სარგებლობაში გადაცემას, რაზეც გაფორმებულია ხელშეკრულება სკოლასა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერი წარმომადგენელს შორის.

ინდიკატორი 3.5.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას. კერძოდ შენობის შესასვლელი არ არის ადაპტირებული, სკოლას აქვს საჭირო სასწავლო მასალებით და ინვენტარით აღჭურვილი რესურსოთახი, რომელიც განთავსებულია ძირითად სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე. აღნიშნული შენობის შესასვლელი არ არის პანდუსით უზრუნველყოფილი. შიდა სივრცეში კი არ არის პანდუსი მეორე სართულზე ასასვლელად. არ არის ადაპტირებული სველი წერტილი. რესურს ოთახი, ბიბლიოთეკა და ექიმის კაბინეტი განთავსებულია პირველ სართულზე. კომპიუტერული ლაბორატორია და საბუნებისმეტყველო ლაბორატორია განთავსებულია მეორე სართულზე. სკოლაში არ არიან ეთნიკურად, რელიგიურად თუ სხვა ნიშნით განსხვავებული პირები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. სკოლას ჰყავს სსსმ მოსწავლე, რომელიც ჩართული არის სასკოლო თუ სასწავლო პროექტებში. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტებს ტოლერანტობასა და მიმდებლობაზე, ადამიანის უფლებებზე, რომლებზეც მუშაობენ საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი. ამ ეტაპზე სკოლის ინფრასტრუქტურა ვერ უზრუნველყოფს სწავლების ინკლუზიურობას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ და ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობის შესრულება და უზრუნველყოს ინკლუზიური გარემოს შექმნა. კერძოდ, პანდუსით, ლიფტით, ადაპტირებული სველი წერტილით სკოლის მოწყობა შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (11.11.2024 – 11.11.2026)

ინდიკატორი 3.5.1.4 ნაწილობრივ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას ხელს უწყობს სკოლაში არსებული სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, მეორე სართულის ფოიე, რომელიც მორგებულია სააქტო სივრცეს, გარე სპორტული მოედანი. უნდა აღინიშნოს, რომ თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს მოსწავლეთა თავშეყრისა და დროის შინაარსობრივად გატარების ადგილს. სპორტულ დარბაზში ეწყობა მხიარული სტარტები, ინტეგრირებული გაკვეთილის აქტივობები. დიდი ყურადღება ექცევა მოსწავლეთა არაფორმალურ განათლებაში ჩართულობას, ამ მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს სხვადასხვა კლუბები და წრეები, მკითხველთა კლუბი, ეკოკლუბი, ნორჩ იტორიკოსთა კლუბი, სამოქალაქო განათლების კლუბი „კლდის ვეფხვი“ ხორციელდება სასკოლო პროექტები, მაგ: „ყველაზე წიგნიერი“ “The Best in English, კვირეულები: - „დედამიწა ჩვენი სახლია“, „დედაენის დღე“, „9 აპრილი“ კონკურსები და ვიქტორინები: ინტელექტუალური თამაში „რა,სად, როდის?“ თემაზე: „ევროკავშირი და ევროპა“, „ეტალონი“

სპორტულ ინტელექტუალური ღონისძიებები: „ეროვნული სასკოლო ოლიმპიადა“ „ნონა გაფრინდაშვილის თასი“ „მხიარული სტარტები“. თითქმის ყველა ღონისძიებაში სკოლას მიღებული აქვს პირველი ხარისხის ჯილდოები და სიგელები. მონწილეობას ვღებულობთ „ტვინების ბრძოლაში- Battle of Brains“- რომლის გაზაფხულის სეზონი 2024 -ის საქართველოს ჩემპიონი გახდა ჩვენი სკოლის ინტელექტუალთა კლუბი „კლდის ვეფხვი.“ მაღალ დონეზე დგას ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის ხელშეწყობის პროგრამები. USAID სამოქალაქო განათლების პროგრამა /USAID Civic Education Program - ის მიერ დაფინანსებული პროექტი: „პრიორიტეტი ჯანმრთელობაა“ ფარგლებში სკოლამ მოიპოვა გრანტი .

სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია გრიფირებული სახელმძღვანელოებით და ლიტერატურით. სკოლა დაფარულია ინტერნეტით WI-FI. სკოლა ახდენს ინფრასტრუქტურის და მატერიალური რესურსების გაზიარებას ადგილობრივი.

ინდიკატორი 3.5.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

შენობა-ნაგებობის ნახაზები

ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, ბიბლიოთეკარის სამოქმედო გეგმა.

კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი

ბიბლიოთეკიდან წიგნების გაცემის ჟურნალი

ბიბლიოთეკის ფოტომასალა

ფოიეში მოსწავლეთა წარმატების ამსახველი ფოტომასალა და ლინკები

რესურსებით სარგებლობის წესი

სსსმ მოსწავლის ჩართულობა სასწავლო პროექტში

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☐ შეესაბამება

- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში არის 1 კომპიუტერული ლაბორატორიის ოთახი პირველ სართულზე, რომელშიც განთავსებულია საჭირო რაოდენობის კომპიუტერები და პროექტორი. აქ ტარდება კომპიუტერული ტექნოლოგიების გაკვეთილები. უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით, გათბობით და ინტერნეტით. მოწყობილია კომპიუტერული ქსელიც. რაც ხელმისაწვდომს ხდის ელექტრონული რესურსების ხელმისაწვდომობას საგაკვეთილო პროცესში. სამასწავლებლოში, ბიბლიოთეკაში, რესურსოთახში, დირექტორისა და ადმინისტრაციისთვის სამუშაო სივრცეებში განთავსებულია ინტერნეტის ქსელში ჩართული თითო კომპიუტერები. სკოლას 11 კომპიუტერი აქვს მუშა მდგომარეობაში. 9 ლეპტოპი, რომლებიც კომპიუტერულ ლაბორატორიაშია განთავსებული. ორი პროექტორი, 2 პრინტერი, 3 კომპიუტერი ადმინისტრაციაშია განთავსებული. ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმოებას

ინდიკატორი 3.6.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლამ წარმოადგინა მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომლის მიზანიც სკოლაში არსებული მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაა, წესში გაწერილია ყველა მატერიალური რესურსით სარგებლობის წესები, მათ შორის კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი. სკოლაში შემუშავებულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის სპეციალური განრიგი, რომელიც გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას მაგრამ სარგებლობის უფლებით არ იზღუდება არც მოსწავლე და არც მასწავლებელი. აგრეთვე მასწავლებლებს შეუძლიათ გამოიყენონ სამასწავლებლოში

განთავსებული ინტერნეტსელში ჩართული კომპიუტერები, ასევე ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკაში და საკლუბო სივრცეში არსებული კომპიუტერები, როგორც მასწავლებლებისთვის, ასევე მოსწავლეებისთვის

ინდიკატორი 3.6.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- კომპიუტერულ ლაბორატორიაში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა სრული მატერიალური პასუხისმგებლობის შესახებ ბრძანება

- მასწავლებლების და მოსწავლეების მიერ შექმნილი მატერიალური რესურსები
- ინფრასტრუქტურის მიერ გადმოცემული კომპიუტერული ტენიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია
- გრანტით გადმოცემული ტექნიკის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მიღება -ჩაბარების აქტი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



1. სკოლაში სკოლის საქმისმწარმოებელი ახდენს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, ნაწილობრივ დაცულია დოკუმენტის ფორმები და ტიპები, რეგისტრირდება გასული და შემოსული დოკუმენტაცია, პერსონალის და მოსწავლეების პირადი საქმეები იწარმოება წესის შესაბამისად, სკოლას აქვს საკადრო და საერთო ბრძანებების ჟურნალები, შემოსული და გასული კორესპონდენციის აღრიცხვის ჟურნალები. პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები დანომრილია და აღრიცხულია შესაბამის ზონარგაყრილ, დამოწმებულ სარეგისტრაციო ჟურნალში. სკოლას მიეცა რჩევა საქმისმწარმოებისას გაითვალისწინოს საქმის წარმოების შესაბამისი წესი და მოხდეს საქმისმისმწარმოებლის გადამზადება.

ინდიკატორი 3.6.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. საქმისმწარმოებათან დაკავშირებით, სკოლა იყენებს E-flow სისტემას, სადაც ტარდება ყველა კორესპონდენცია, ბრძანებები, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. სკოლას აქვს ვებ-გვერდი - სკოლა სარგებლობს სკოლის მართვის საინფორმაციო სისტემით (eSchool), რომელშიც დაცულია მოსწავლეთა და თანამშრომლების პერსონალური ინფორმაცია და ბაზები. სკოლას აქვს ელ.ფოსტა mestia2@mes.gov.ge

ინდიკატორი 3.6.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ინდიკატორი 3.6.2.3 არ ფასდება

ინდიკატორი 3.6.2.4 არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სქრინი eSchool-ის, eFlow-ს და ელ.ფოსტის
- მობილობის დამადასტურებელი სქრინი
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. . სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას სხვადასხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით. რისთვისაც იყენებს სკოლის ფეისბუქ გვერდს, ელექტრონულ ფოსტას (mestia2@mes.gov.ge), ელექტრონულ ჟურნალს, TEAMS-ის პლატფორმას, საინფორმაციო დაფებს. სკოლა კლასის დამრიგებლების ჩართულობით აქტიურ კომუნიკაციას ამყარებს მშობლებთან საჭირო ინფორმაციის გაზიარების მიზნით, როგორც მშობელთა კრებებზე, სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფის

ჩათებით, ასევე სატელეფონო საუბრებით. ნებისმიერ დაინტერესებულ პირს, აქვს შესაძლებლობა სკოლას მიმართოს ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რომლის მისამართიც საჯაროა

ინდიკატორი 3.6.3.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლა უზრუნველყოფს თავისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. სკოლას აქვს აქტიური სოციალური ქსელი, რომელიც იხვეწება და თავსდება ინფორმაცია დაწესებულების საქმიანობის შესახებ. სკოლა თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას ძირითადად ავრცელებს სასაქონლო საკუთარ facebook-ის გვერდზე. სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია სანდო და უტყუარია.

ინდიკატორი 3.6.3.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

ინდიკატორი 3.6.3.3 არ ფასდება

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც არ არის განთავსებული ინფორმაცია, შესაბამისად ვერ დგინდება განთავსებული ინფორმაციის ენა.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება ქართულ ენაზე შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში (05.07.24- 20.12.2024)

ინდიკატორი 3.6.3.4 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სკოლის შესაბამისობის გეგმაში გაწერილია, რომ სკოლას არ აქვს ვებ გვერდი, თუმცა სკოლების პორტალზე skolebi.emis.ge ვხვდებით აღნიშნული სკოლის ვებ გვერდს. მასზე განთავსებულია მწირე ინფორმაცია. შესაბამისობის გეგმაში კი ვხვდებით მასზე მომუშავე პასუხისმგებელ პირებს და შესაბამის ვადებს.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს სკოლის ვებგვერდზე სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაციის განთავსება. შესაბამისობის გეგმაში მითითებულ ვადაში (05.07.24- 20.12.2024)

ინდიკატორი 3.6.3.5 მეტწილ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები;

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სკოლის სოციალური ქსელი /Facebook
- მშობელთა კომიტეტის ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ბიუჯეტი მიზნობრივადაა გაწერილი და ემსახურება სასწავლო მიზნებს. შესყიდვების კოორდინატორად ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ბუღალტერი და დამტკიცებულია შესყიდვების წესი. სკოლამ წარმოადგინა 2024 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით

დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში.

სკოლის ბიუჯეტი ითვალისწინებს კულტურულ, სპორტულ, საგანმანათლებლ და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯებს, რაც უზრუნველყოფს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული მოსწავლეთა მხარდამჭერი ღონისძიებების შეუფერხებელ განხორციელებას. შესყიდვების გეგმაში ცვლილება შედის სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებით

ინდიკატორი 3.7.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლაში ყოველწლიურად ტარდება ფინანსური და მატერიალური ინვენტარიზაცია. სკოლის დირექტორი, კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს და აცნობს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. წარმოდგენილი მასალებით (შესყიდვები წლიური გეგმა, ბაზრის კვლევა, ფინანსური საქმიანობის ანგარიში, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები და 2024 წლის ბიუჯეტი) დასტურდება, რომ სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი ბიუჯეტის დამტკიცებაზე
- დამტკიცებული სკოლის ბიუჯეტი
შესყიდვების წესი და ფორმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი, სადაც გაწერილია მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, მათ დარღვევაზე პასუხისმგებლობის ფორმები. სკოლაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად, შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთათვის და მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის მოსწავლეთა უფლებებისა და მოვალეობების, დარღვეული უფლების აღდგენისა და დაცვის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას, რომელიც, თავის მხრივ, წარმოადგენს მოსწავლეთა უფლების დაცვის გარანტიას. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი თვის ვადაში მრჩეველთა საბჭოს წევრები აწყოვენ საინფორმაციო ხასიათის შეხვედრებს მოსწავლეებთან და მათ კანონიერ წარმომადგენლებთან, მათვის ხდება მოსწავლეთა უფლებებისა და წესების, ასევე სკოლის საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის გაცნობა. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ასევე იცავს მოსწავლეთა უფლებებსა და ინტერესებს. დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი მოსწავლეთა უფლებებისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით. დაცულია მოსწავლის პირადი ინფორმაცია, მათი პერსონალური მონაცემები გასაჯაროებელია მხოლოდ მათი ინტერესების გათვალისწინებითა და მშობელთა თანხმობებით, რომლებიც

ოფიციალურად გაფორმებულია დოკუმენტის სახით. სასწავლო წლის დასაწყისში დამტკიცებულია ინკლუზიური განათლების განვითარების სამოქმედო გეგმა. მოსწავლეთა უფლებებს სამეურვეო საბჭოში იცავს მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლებების დაცვა უზრუნველყოფილია და მას უზრუნველყოფს სკოლის ექთანი.

ინდიკატორი 4.1.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის შენობაში, რომლის ხილვის საშუალება აქვს ყველა შენობაში მყოფ და შემსვლელ პირს, ხოლო გამოქვეყნებული შინაგანაწესი სკოლის საიტზე ნებისმიერ დაინტერესებულ პირსისთვის ხელმისაწვდომია. ხელშეკრულებაში მშობელსა და სკოლას შორის გაწერილია მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული რეგულაციები. აღნიშნულიდან გამომდინარე მოსწავლეთა კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის რეგულაციები გამჭირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. მოსწავლემ, მშობელმა, მასწავლებელმა იციან უფლების დარღვევის შემთხვევაში, რა პროცედურები უნდა გაიარონ და აგრეთვე ცნობილია გასაჩივრების და გაპროტესტების შესაძლებლობა. დაინტერესებული მხარეებისათვის ცნობილია მოსწავლეთა სიაში ჩარიცხვის, ამორიცხვისა და სტატუსის შეჩერების წესი, სსსმ მოსწავლეების შეფასების წესი და ისგ შექმნის რეგულაციები. სკოლის ვებ გვერდზე skolebi.emis.ge განთავსებულია შესაბამისი რეგულაციები.

ინდიკატორი 4.1.1.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლის მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია სკოლის სხვა დოკუმენტებთან. ექსპერტთა ჯგუფის მიერ მატერილური სახით შემთხვევითობის შერჩევის პრინციპით შერჩეული იყო რამდენიმე მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან

ინდიკატორი 4.1.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა უფლებების დაცვის მექანიზმი; -
- სკოლის შინაგანაწესი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი

- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები; კერძოდ, წარმოდგენილია „მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი“. პირველ კლასში მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა ხორციელდება დადგენილი წესით, კერძოდ მოსწავლე რეგისტრირდება ოფიციალურ ვებ-გვერდზე, მინისტრის ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ფორმის შესაბამისად. ხოლო სკოლაში არსებული თავისუფალი ადგილების შესაბამისად, ჩარიცხვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სკოლის დირექტორი. მოსწავლეთა მობილობის, საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების შესახებ დამრიგებლები აწვდიან მოსწავლეთა მშობლებს ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს. გასაუბრებიდან გამოიკვეთა, რომ სკოლა ამ დოკუმენტს განათავსებს სკოლის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. სკოლას აქვს პრაქტიკა ასაკობრივი ექსტერნის გამოცდების ჩატარებისა, პირველ კლასში მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება

კანონმდებლობით დადგენილი ნორმებით. სკოლა მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის შემთხვევაში დროულად გამოსცემს ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებს .

ინდიკატორი 4.1.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ყველა შემოსული განცხადება, ოქმი, ინდივიდუალური-სამართლებრივი აქტი, რომლებიც ეხება მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დამლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებასა და შეწყვეტას, ტარდება სკოლის eFlow-ში.სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

სკოლის დირექციასთან საქმისმწარმოებელთან გასაუბრებით, eFlow-ის სისტემისა და Eschool-ის ბაზების შესწავლით დგინდება, რომ მოსწავლეთა ჩარიცხვა ხდება მოსწავლეთა განსაზღვრული რაოდენობის შესაბამისად. მოსწავლის სტატუსის შეჩერების პროცედურა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ხორციელდება.

ინდიკატორი 4.1.2.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურებაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. მათი ფუნქციონირების შესახებ სკოლაში ინფორმაცია საჯაროა. განცხადებები იკვრება საინფორმაციო სტენდზე, ზიარდება სოციალურ ჯგუფებში, სკოლის ვებგვერდის გვერდზე პერსონალური მონაცემების დაცვით, კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 4.1.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. სკოლის სოციალურ გვერდზე გაზიარებულია, ხოლო სკოლის შიდა სივრცეში გამოკრული აქტივობების, რესურსებისა და სერვისების შესახებ ინფორმაცია, რომელიც არის კანონმდებლობის შესაბამისია. არ შეიცავს დისკრიმინაციულ ნიშნებს და ხელმისაწვდომია, როგორც სკოლის შენობაში, ასევე გარეშე პირისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.2.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლის საფეხურის დამლევის, ჩარიცხვის, მობილობის ,სტატუსის შეჩერების წესი
- მობილობის დამადასტურებელი სქრინი დანართი
- ჩარიცხვის ბრძანება

- სხვადასხვა პროექტებში და საგრანტო პროგრამებში ჩართულობის შესაბამისი დოკუმენტაცია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც სკოლის ვებგვერდზე გამოქვეყნებული;

არსებული წესის გამოყენება გათვალისწინებულია პირველ კლასში და მობილობით ჩარიცხული მოსწავლეების ხელშეწყობისათვის და იმ მოსწავლეების, ვისაც შეიძლება შეექმნას სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. სკოლას აქტიური თანამშრომლობა აქვს სოფელში არსებულ საბავშვო ბაღთან. სასკოლო ასაკის ბავშვებს და მათ მშობლებს სკოლაში შემოსვლამდე სკოლა იწვევს სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით, ეწყობა სკოლაში შემსვლელთათვის საინტერესო ღონისძიებები. სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი ზრუნავს სკოლის იერსახის მოწყობაზე. სკოლაში მისვლის შემდეგ დამრიგებელი ეხმარება მოსწავლეებს ორიენტაციაში, აცნობს სველი წერტილებსა და მოსწავლისათვის საჭირო სივრცეებს. ეხმარება, რომ გახდეს დამოუკიდებელი და თავდაჯერებული, რათა ახალ გარემოში ადაპტაცია მისთვის სასიამოვნო პროცესი იყოს. მოსწავლის მობილობის შემთხვევაშიც, როდესაც ახალი მოსწავლე გადმოდის სკოლაში, სკოლა მაქსიმალურად ცდილობს კეთილგანწყობილი, სასიამოვნო გარემო შეუქმნას მას, რათა მოსწავლემ თავი მარტივად იგრძნოს იმ გუნდის წევრად, რომელთანაც მოუწევს ყოველდღიური თანამშრომლობა. აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს დამრიგებელი, რომელიც ცდილობს ახალი მოსწავლის ინტერესებისა და ხასიათის შესწავლას, და ასევე ამზადებს კლასს მის დასახვედრად. ეს კი ახალ მოსწავლეს ეხმარება ახალ გარემოში ორიენტაციაში. სსმ მოსწავლის ადაპტაციაში ჩართული არიან კლასის დამრიგებელი და სპეცმასწავლებელი.

ინდიკატორი 4.2.1.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ინდიკატორი 4.2.1.2 არ ფასდება

3. მშობლებსა და მოსწავლეებს შეუძლიათ თვალი ადევნონ ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით აკადემიურ მონაცემებს, სკოლა პერიოდულად ახდენს მშობელთა ინფორმირებას სოციალური ქსელით, სატელეფონო საუბრებით, აწვდის აკადემიური მოსწრების ბარათებს. განმავითარებელი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს აკადემიურ განვითარებაში. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. მასწავლებლები სკოლის მოსწავლეს აძლევენ განმავითარებელ შეფასებას, რის საშუალებითაც მოსწავლეს ეხმარება შედეგების გაუმჯობესებაში. საჭიროების შემთხვევაში მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს მოსწავლეებთან. მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლეებს აძლევს ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს.

ინდიკატორი 4.2.1.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

4. საქმის მწარმოებელთან, დირექციასთან გასაუბრებით, Eflow სისტემის დათვალიერების შედეგად დგინდება, რომ მშობლის მიერ წარმოდგენილ განცხადებებზე (სხვა სკოლაში გადაყვანა, სკოლაში ჩარიცხვა, მოსწავლის ცნობის მოთხოვნა, საგაკვეთილო პროცესიდან გაყვანა და სხვა) რეაგირება ხდება დადგენილ და განცხადებებში მოთხოვნილ ვადებში. სასწავლო წლის დასაწყისში მიეწოდებათ ინფორმაცია გამოცდების შესახებ, რა შემთხვევაში შეიძლება მოუწიოს მოსწავლეს ექსტერნის ფორმით კლასის დაძლევა, რა შემთხვევაში შეუძლიათ სემესტრული გამოცდის მოთხოვნა და რა ვადებში. ეს ინფორმაცია მიეწოდება მოსწავლეებს დამრიგებლის მიერ და მშობლებს მშობელთა კრებებზე სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობის დროს.

ინდიკატორი 4.2.1.4 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

5. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, ძირითადი საგნების შესწავლასთან ერთად, მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების მიღება, მოსწავლეების განვითარება კულტურული, სპორტული და სხვა მიმართულებებით. სკოლის სურვილია მოსწავლეებს შეეძლოთ მათთვის საინტერესო მომსახურება მიიღონ ადგილზე. ზემოთ აღნიშნული დამატებითი მომსახურების შეთავაზება მოხდება სკოლის მოსწავლეთა გამოკითხვის შედეგების გათვალისწინებით. აგრეთვე გათვალისწინებული იქნება მშობელთა ინტერესებიც. სკოლის შინაგანაწესის თანახმად მოსწავლის მიმართ გამოიყენება წახალისების შემდეგი ფორმები: მაღლობის გამოცხადება და სიგელით და/ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება. სკოლა ჩართულია USAID-ის სამოქალაქო განათლების 5 წლიან პროგრამაში. პროგრამის ფარგლებში სკოლაში შეიქმნა სამოქალაქო განათლების კლუბი „კლდის ვეფხვი“. კლუბში გაერთიანებულნი არიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეები. სამოქალაქო განათლების კლუბთან თანამშრომლობს სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობა, მოსწავლეები ეფექტური თანამშრომლობის გზით, ახდენენ სკოლასა თუ თემში მოკვლეული პრობლემების გამოვლენას და მის აღმოსაფხვრელად სხვადასხვა აქტივობების დაგეგმვას, პროექტების განხორციელებას. აღნიშნული კლუბის ინიცირებით თემში შეგროვდა და გამოიცა ბროშურა ძველი სვანური მივიწყებული კერძები, რომელიც მიზნად ისახავდა, მივიწყებული კერძების პოპულარიზაციას. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი „წიგნის მეგობარი“, რომლის მიზანია წიგნიერების დონის ამაღლება, კერძოდ კულტურათაშორისი კომუნიკაციების ძიება; კულტურათა დიალოგის წარმართვა; მოსწავლის აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბება; მშობლიურ და მსოფლიო ლიტერატურასთან ზიარება; მოსწავლეთა აქტიურ მკითხველად ჩამოყალიბება; ზეპირმეტყველების, აზრის გამოხატვის უნარ-ჩვევების, მოსმენის კულტურის, სოციალური კომუნიკაციის უნარების განვითარება და სხვა. სკოლაში ინტენსიურად ხორციელდება სხვადასხვა მრავალფეროვანი პროექტები, ვიქტორინები, კონკურსები. გადაღებულია რამდენიმე მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომელშიც წარმოდგენილია სკოლისთვის და თემისთვის აქტუალური საკითხები.

ინდიკატორი 4.2.1.5 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

6. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა უკუკავშირს, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური აქტივობებისა და შეთავაზებული სერვისის მიწოდების პროცესში. მოსწავლეთა საჭიროებების დასადგენად და მოსწავლეთა მომსახურების გასაუმჯობესებლად, სკოლა რეგულარულად აწარმოებს გამოკითხვებს. მოსწავლეები და მშობლები დირექციასთან და დამრიგებლებთან აფიქსირებენ თავიანთ ხედვებს, გამოცდილებას, სურვილებს. მოსწავლეთა უკუკავშირის მიზნით სოციალურ ქსელებში შექმნილია ჯგუფები. მშობელთა უკუკავშირის მიღება, სპეციფიკის გათვალისწინებით, ხდება მშობელთა გაერთიანებულ შეკრებებზე, სადაც ზეპირი გასაუბრების საშუალებით ხდება ინფორმირება და მათგან უკუკავშირის მიღება. მიღებულ უკუკავშირს სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის. სკოლაში ხშირად ტარდება მოსწავლეებთან არაფორმალური შეხვედრები

ინდიკატორი 4.2.1.6 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სამოქალაქო კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება.
- მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სასკოლო გარემოს ამსახველი ფოტომასალა.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დირექციის განმარტებით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მიზანმიმართულად მუშაობს. სკოლაში საბაზო და საშუალო საფეხურზე ხშირად იმართება საუბრები სხვადასხვა პროფესიების შესახებ. კარიერული მომსახურების მიზნით კლასის დამრიგებლების პროგრამაში გათვალისწინებულია კლასის საათი „პროფესიული განვითარების შესახებ ინფორმაციის მიწოდება“. სკოლა უზრუნველყოფს ექსკურსიებს კოლეჯებში. სკოლაში მოეწყობა, როგორც პირისპირ ისე დისტანციური შეხვედრები, რომელთა თემები განისაზღვრება მოსწავლეთა ინტერესებისა და საჭიროების შესაბამისად. სკოლას ასევე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული აქვს სსიპ კოლეჯ „თეთრწულდთან, „ათინათთან“, ასევე ცაგერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორბელის საჯარო სკოლასთან მემორანდუმის საგანს წარმოადგენს მხარეთა თანამშრომლობა პარტნიორი სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსის განხორციელების მიზნით.

ინდიკატორი 4.2.2.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. ინდიკატორი 4.2.2.2 არ ფასდება

3. მიმდინარე სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და სასკოლო საზოგადოების დამოკიდებულებების კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, სკოლა აპირებს მომსახურების ხარისხიანობის შეფასებასა და გაუმჯობესებას. გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ მშობელთა კრებებსა თუ ინდივიდუალურ შეხვედრებზე მოხდება მშობლების, ხოლო მოსწავლეთა თვითმმართველობის ან დამრიგებელთა საშუალებით კი - მოსწავლეთა მოსაზრებების მოსმენა, რომელიც გათვალისწინებული იქნება მოსწავლეთა მომსახურების გაუმჯობესებისათვის.

ინდიკატორი 4.2.2.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მემორანდუმი კოლეჯ თეთრულდთან
- კლასის საათის ოქმი პროფესის არჩევაზე
- მოსწავლეების ვიზიტი კოლეჯ თეთრულდში
- კურსდამთავრებულთა აღრიცხვის ჟურნალი

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმაში, თავი „ინკლუზიური განათლება“, აღწერილია სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; აკადემიური მიღწევის შეფასება, დასწრება, გაცდენები; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ნიმუში. მოსწავლის ადაპტაციის წესში გაწერილია სსსმ მოსწავლის წარმატებული ადაპტაციის მექანიზმი.

ინდიკატორი 4.2.3.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

1. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სსსმ მოსწავლეების განვითარების მხარდაჭერის პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სკოლაში დასაქმებულია 1 სპეცმასწავლებელი, რომელთა მუშაობა ეხმარება სასკოლო საზოგადოების ყველა წევრს აქტიურად იყოს ჩართული სკოლის ინკლუზიური გარემოს შექმნაში. მშობლები მონაწილეობენ ინდივიდუალური გეგმის შედგენის განხილვაში. ესწრებიან მშობელთა კრებებს, ინდივიდუალურ შეხვედრებს, ეცნობიან ბავშვების მიღწევებს, ნამუშევრებს. ასევე ითვალისწინებენ საგნის მასწავლებლების,

დამრიგებლის და სპეცმასწავლებლის რეკომენდაციებს. მულტიდისციპლინული გუნდის დასკვნის საფუძველზე და მოსწავლეებზე დაკვირვების შედეგად მასწავლებლებს გაანალიზებული აქვთ სსსმ მოსწავლეთა საჭიროებები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლის მიხედვითაც შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმა და რომლითაც ხელმძღვანელობენ წლის განმავლობაში. საგნის პედაგოგები იღებენ რეკომენდაციებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დირექციისგან. ისე ჯგუფის შემადგენლობაში შედიან კლასის დამრიგებლები, მშობლები, ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები, ის მასწავლებლები, რომლებიც უშუალოდ ასწავლიან სსსმ მოსწავლეს. აღნიშნული ისე ჯგუფები შეიმუშავენ ინდ. გეგმებს, რომლებსაც ითანხმებს სამეურვეო საბჭო და მტკიცდება პედაგოგიური საბჭოს მიერ. სკოლაში ამ ეტაპზე არის 1 სსსმ მოსწავლე, რომლის განვითარების მხარდაჭერაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება.

ინდიკატორი 4.2.3.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსსმ მოსწავლის ინდ გეგმა
- სსსმ მოსწავლის მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სსსმ მოსწავლის აქტივობების დამადასტურებელი ფოტომასალა
- ისე ჯგუფის ოქმი
- სპეცმასწავლებლის ანგარიში
- სსსმ მოსწავლის მშობელთან ინდივიდუალური შეხვედრის ჩანაწერი
- ინტერვენციის გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეების გარკვეულ ნაწილს (სახლიდან სკოლამდე მანძილი აღემატება 2, 2.5კმ-ს) სთავაზობს ტრანსპორტირებას. აღნიშნული სერვისები ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ განსაზღვრული პროგრამის ფარგლებში. მარეგულირებელი მხარე უზრუნველყოფს მანქანის ტექნიკურად გამართულობას, აფორმებს ხელშეკრულებას მძღოლთან. ტრანსპორტირების განხორციელებას სკოლაში უზრუნველყოფს ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირი. .

ინდიკატორი 4.2.4.1 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

2. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ გააჩნია. თუმცა აქვს მზაობა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება გაწიოს ნებაყოფლობის პრინციპით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.2 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

3. სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურება არ გააჩნია. დირექციასთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებისთვის კონკრეტული სერვისის შეთავაზება მოხდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გათვალისწინებული იქნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესები.

ინდიკატორი 4.2.4.3 შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა ტრანსპორტირებაზე პასუხისმგებელი პირის დოკუმენტაცია
- მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების ტაბელი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. II სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის II სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
--	--

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა და ანალიზი:

1. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
2. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
3. ინდიკატორი შესაბამისობაშია.
4. ინდიკატორი შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ✓ სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N27 ბრძანება სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ (მატერიალური სახით წარმომიდგინა დირექტორმა და უნდა გადმოაგზავნოს;
- ✓ დანართი N1 „კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია“;
- ✓ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ✓ სკოლის სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის შეთანხმების შესახებ;
- ✓ სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 05 სექტემბრის სხდომის ოქმი სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცების შესახებ;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის დაწყებითი კათედრის სამუშაო ჟურნალი;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის საბუნებისმეტყველო კათედრის სამუშაო ჟურნალი;
- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის მათემატიკისა და ისტ-ის კათედრის სამუშაო ჟურნალი;
- ✓ სხვადასხვა კლასის დამრიგებლების 2023-2024 სასწავლო წლის სადამრიგებლო პროგრამა;
- ✓ სპეც. მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა;

- ✓ 2023-2024 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა;
- ✓ სკოლის ისე ჯგუფის 2024 წლის 18 მარტის N3 სხდომის ოქმი;
- ✓ სკოლის პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 10 იანვრის სხდომის ოქმი 2023-2024 სასწავლო წლის პირველი სემესტრის განხილვის (შეჯამების) შესახებ;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
